ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

25 ივლისი 2024

N 489

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 02 ივლისს სამსახურისათვის წარდგენილ იქნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (შემდგომში - ბაფ) N161 განცხადება (რეგისტრაციის N110571/16; 02.07.2024წ.) სერტიფიცირებული ბუღალტრებისა და აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამების შესახებ. ბაფ-მა 2024 წლის 15 ივლისს დამატებით წარადგინა N192 წერილი (სამსახურში რეგისტრაციის N118323/16; 15.07.2024წ.) განახლებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ.

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს ბაფ-ის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს 2024 წლის 15 ივლისის N192 კორესპონდენციით წარმოდგენილი აუდიტორების განგრძობითი განათლების 2024 წლის პროგრამა;
3. მიენიჭოს ბაფ-ის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამას ნომერი - SARAS-CPD-020/24;
4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს ბაფ-ის მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება, ხოლო ბაფ-ს - ლექციაზე მსმენელთა ელექტრონულად დასწრებისათვის გათვალისწინებული, ელექტრონული უზრუნველყოფის (შესაბამისი ბმულების) შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის მიწოდება;
5. დაევალოს ბაფ-ს აღიარებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება (www.gfpaa.ge);
6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს ბაფ-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

თორნიკე ძაგნიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

https://edoc.mof.ge/public/#/489-16-4-202407251227